

მეგობრებო, სწორედ რომ
ამათნაირებზეა ნათქვამი
ქართული ანდაზა :
- „ ბადრიჯანს რომ
ფრთები ჰქონდეს,
მერცხალი იქნებოდაო“.




ნუგზარ, გენაცვალე,
ძალიან მიმიმე ხარ,
შენიანად ვერ
ავფრინდებით.

არ დაძვოვო
იმაში!
ფიფიების შიშით
სული მძვრება!

რობერტ, ძამიკო,
ვახუშტი როგორ
გაუშვი ცოცხალი,
მოგვეჭრა თავი
მრგვალებში.

ჩვენ ხელისუფლება
დავკარგეთ და ეგენი
თავის ქონებაზე
სტირიან?



SIT VENIA VERBO!

იანვარი 1992

ვასხალებო პროტესტს!

კი, მაგრამ ვინაა, მართლა ადარა
აქვს ქართულ ენას ქართული ძვალი?
ვინ დაიწყო ეროვნული მოძრაობა,
ჭანჭურიაში? წერეთელმა? თამარ ჩხეი-
ძემ? ეგენი რომ ციხეებში მხარფეძო-
ზე ისვენებდნენ, ჩვენ მაშინ ვაკეთ-
ებდით ეროვნულ რამე-რუმეებს.
ან ეს უნივერსიტეტის პრესკლუბე-
ლები ვინდა არიან, ვის დაკარგვიან?
ტურაშვილით, ჩიხრაძით, მაისურაძით,
ეგენი საერთოდ არ არსებობენ, უფრო
სწორად, წითელი პროფესორის, ვახტ-
ანგ გოგუაძის ფსევდონიმები არიან.
ჩვენ კი, ლიცეასავით გავითავი -
სეთ ბატონი ზვიადის საკავშირო მონ-
ანიების სიტყვები, მახვილად აღვმარ-
თეთ სოსო ჯაფარიძის უდრეკი შემართ-
ება, ფარად ვიფარეთ მურმან ომანი -

ძის „ელასტინი“ გონება და სასტიკ-
ად დავამხეთ კომუნისტური მთავრობა.
მერე რა, თუ ინერციით საკუთარი თა-
ვიც ზედ მივსაყლეთ.
ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს!

მშრომელთა სახელით: თემურ შაცვოლ -
გოტიანი, ნუგზარ მოლოგინაშვილი, ამ-
ირან ქალაქი, ირინე ტილიაშვილი, ემ-
ზარ გოგოაძე, მერაბ ციკნაძე, ბესო
კუკუშვილი, დილარ ყლაბულიანი, გურამ
კეთრიაშვილი, ვიორჯი ყურბანი, ვახუ-
აბაძე, სოსო სიკუა, მამუკა წვინ-
კლაური, ბერდია ცისფერიაშვილი, მი-
მომხილველი, ნანული ბროცვაძე, ავთ-
ანდილ გველსისიანი, აკაკი გველვა-
ნი, ვახტანგ პოჭორიშვილი, ვარლამ
ტრიკლაძე, ავთო ცხრილაძე, ვახტანგ
ჭინთავა, ლევან ხარჯვაძე, კაკო ღაზ-
ათიანი, ნემო პრუჩულაძე, სანდრო
ბრეჭაძე და ცოტნე ტაკური, მზია გა-
ქრაძე, მაკო ჯანჯიბუხაშვილი და კარ-
ვის მორიგე ფოთოლა სულ 37 მილიონი
ხელმოწერა

კიდევ ერთხელ მურმანჩიკზე

მურმანს ვერვინ დაგვიჩაგრავს,
ჭკუა უჭრის, გული - ვერის,
„გობკია“ და „ელასტინი“,
თითქოს იყოს გუტაპერისი.

პატრუქი და პაპიროსი

პოლიტიკური კულტურა ჩვენი
დაბალი არის და უბადრუკი,
ეს კი ისევე არის საშიში,
ვით ამონაღზე მოკლე პატრუქი.

მედროვე ცდილობს გადავიბროს,
დემოკრატიათ გაგინაპიროსს,
ყველა მთავრობას ფეხქვეშ მივდებთ
მოგვაწვივინებს ვინც კი პაპიროსს.

ვერვ ახლა მიხვდი, ამ პარლამენტში
რა მასხარეთი აგირჩენია?
პეტრიაშვილის ტვინით ცხოვრებას,
თვითონ იცხოვრო, არ გირჩენია?

ქორეოგრაფიული საყვებელი

განგებამ რისთვის დამსაჯა,
თქვენთან ერთად რომ დამბადა,
რგვალნო, რაც თქვენგან ვიხილე,
სხვას არ სმენია ამბადა,
ამერ - იმერს რომ მოედეთ
ნარეკლად და შამბადა,
რას დაამსგავსეთ ქვეყანა,
თქვენ კი გვიმეცით „ლამბადა“!

საქართველოს ზნეობანი

სატანის ღირითურობით
ქაზევის ცხრილად და „ომონი“,
ამ დროს კი ნემომ ბუნკერში
გამართა სოლომ - გომონი!

ვეტნიკელს ბენეფიცი

საყოველთაოდ გახმაურდა იმამის ერთ-
გული ქვიკის, ბატონ გურამ პეტრიაშვი-
ლის ანტიპათიები ფრანგულ სუნამოთა
მიმართ და სიმბათიები მამაპაპური არ-
თმატების, კერძოდ კი შარლოვანასადმი.
მისი მრავალტანჯული ტვინის დასაზო-
გად უანგაროდ ვიდეაწი და შევადგინე
მცირე სიტყვის კონა, რომელიც, ვიმედ-
ოვნებ, საამურ ასოციაციებს აღუძრავს
კულტუროფობიასა და შარლოვანაში ერთ-
დროულად მორულენე ცეროდენას.
მაშ ასე, გურამის საყვარელი სიტყვ-
ებია: სითხეებში - შარდი, ნივთიერე-
ბა - შარლოვანა, ნაძვის ფისი, სახე-
ლი - რიშარდი, გვარი - აფსანძე, ერ-
ოვნება - აფსუა, ნივთი - შტეფელი, ვისტონი,
სასმელი - შნაპსი, კინო-
ბითი - ფისუნია, ძაღლის ჯიში - მოპსი,
წარმონაქმნი - ფისტულა, ინსტრუმენტი
- ფისპარმონია, ნაწარმოები - რაფსო-
დია, ღონისძიება - ბენეფიცი, ქალაქი
- მემფისი, სოფელი - სუფსა, მდინარე
- ფსოუ, მთა - ფსიაშნა, აფეზი - ლიფ-
სიტა, მხატვარი - შარდენი, კლამბურ-
თელი - ლიპსო, ბანკოში - ფსონი, აფ-
ადმყოფობა - ფსორიაზი, სეფისი, წარ-
მოსახვითი არსება - ფსიკვი, ოდნავ
სახეცვლილი სიტყვები - მანშარდა, აფ-
სურდი, აფსოლიტური, აფსტრაქტული, აფ-
სენტი.
უცნაური კაცია, ჩემმა მზემ...

როკ-ბუფი „ბუნკარიტიტიტი“





რას დავემსგავსეთ...

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პაროდიას მრგვალების მიერ ფართოდ კულტივირებულ კონიუნქტურულ ლიტერატურაზე. რაკიადა საკუთარი ძალები არ შეყო გადავწყვიტე მიმემართა ყველა ქართველისათვის ნაცნობი და საყვარელი სტრიქონებისათვის. ამ მცდელობის უმთავრესი მიზანია სააშკარაოზე გამოიტანოს ის დეგრადაცია, რაც მრგვალთა იდეოლოგიური წინების ქვეშ განიცადა ჩემმა სულმა. წინასწარ ბოდიშს ვუხდის ჩემს საყვარელ პოეტებს, ქვემოთდასახიჩრებულ სტრიქონთა ავტორებს.

რუსთველურა

მას ტანსა კაბა ემოსა, ბუნება ჰქონდა ლარული, მიზანი იყო გვირგვინი, პატრია - მხოლოდ სარჩული.

კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარბაკე, ცვლა რომ მსგავსი არ მეხილა, თვალსა თითი შევიტაკე.

დავითურა

ძადლი უწვრთნელი პატრონსა ასეთს რას დაუშავებსა, რომ ბესო, ბრიყვი, უცები ზვიადის განათავებსა? უცოდინრობით ასეთსა საქმეებსა იქს ავებსა, კაკოს, ნემოს და თემოსა სირცხვილით სჭრიდეს თავებსა.

არჩილურა

ცუდი რამ ზნე სჭირთ მრგვალებსა, კუჭდოდობა, ამავმცირებთა. აზვავდებიან, იტყვიან - უჩვენოდ ვინ იმღერებთ.

ბლექსანდრულა

რომელნიც ამყარებთ მრგვალურ ცხოვრებას, ხვეტავთ ურცხვად, უსამართლოდ ქონებას, მოელოდეთ ანგარიშის სწორებას, არ მარადის იშვებთ სხვაგვართ ლანძღვით, მტაცებლობით და ხვეჭით.

გრიგოლურა

სხვა პარლამენტი სად არის, დამაბეცებარი ქვეყნისა, ხალხი ცრუადი, ტყუადი, მეზრუნე თავის ჯიბისა, შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის ენა დემაგოგისა, იგივე ტლუ, იგივე მუდრეგი, მოყვარე თავის კუჭისა.

გოეთურა

შენი წასვლა ივერს იმედის შუქს ჰყენს, მოთმინე ცოტა, მოისვენებ შენც.

ჰაინურა

ტურფავ, ტურფავ, ამ ბუნკერში შეგვრჩებოდეს ნეტავ სკალპი, ერთად დავსხდეთ და ვუცქიროთ როგორ არხეცს კედლებს ზაღპი.

ბერნსულა
კაცი ვარ და ქუდი მსურავს, მეძახიან გურამის, ცხოვრებაში ვინც გაგასწოთ, ნუ დაინდობთ ნურავის!

ილიაურა
იგრძენს მუშტის გემოი, აგერ გურამიც ჭყვივის, და ბუნკერში ნემოი მეტის ბოღმითა სტირის.

აბდავლებულა ბესო, აკივლებულან დები, ძოძუანთ უტურფესო, შენ რისდა არხავლებები?

აკაკურა
ზვიადი საქართველოა, ბლიადი ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კარვის მდგურები, ოდელა დელა დელაო!

დადმა დადმა მივდიოდი მე ნელა, უფსკრულისკენ ტემში ძლიერ მენელა, მრგვალი მიტომ მოვიფიქრე მაგიადა, უფრო სწრაფად რომ ჩავგორდე მაგიათა.

ვახუაურა
გადმა სჩანს მთავრობის სახლი, ასპიტის ბუდესავითა ის ასპიტები ბუნკერში კლამ მთავრდესავითა.

მე უთოფო ვარ, შენაცა, სროლაც არ ვიცი, ვსტირითა, ერთურთი მაინც ვაგინით აღვირახსნილი პირითა.

დილარა ხაბულიანი კაცია თავქარიანი, მინისტრის სკამზე დაჯდების, მაინც დარჩების რქიანი.

ამოლინერულა
კომუნისტებმა მოგაბეზრეს მუდართთ თავი იქნებ მწყემსობა შეიფერო ათასი მრგვალი ჯოჯივით ბჟავის
სიმონურა
შეაგლეო ბრძოლით გაწვრთნილი ხელი ზვიადურთა ბუნკერის კარებს, და გაიხსნება სირცხვილი ჩვენთ, და მსტორიის ფურცელი მწარე.

კოლაურა
გურამის ხმა ისე მატკობს ვით ჭიკჭიკი მერცხლის, ამ ჭიკჭიკის ნაყოფია რუსთაველზე ცეცხლი.

სოსოურა
ჩემს სათაყვანო გამზირზე თავი ვერ გამომიყვია, ჰაუ, რა ფინთი დრო არის, მახლას, რამდენი ბრიყვია!

აბაშელურა
სად ყოფილა, ნოდარი მონას ეტლებოდეს, ამირანა კალაძე მწერლის დაფნებს იმკიდეს, ერის სადარაჯოზე ომანიძე დგებოდეს, ელდარსა და ჭაბუას პეტროტალი სძიძგნიდეს!

კარმელურა
ჩემს დარღს ნუ ეტყვი ნურვის, რა ვქნა, ვერ გავხდის მრგვალი, გაგიქრობს ქალის სურვილს "კარავაბადის" ქალი.

გრანელურა
ქართულ სიტყვაზე მონობოლია მხოლოდ გურამა უნიფხოსია ბესარიონში არის დემონი, ნემოში უფრო ანგელოსია.

გოგლაურა
როგორც წყალში დგას წნორის ძირები, მრგვალ სიმყაყეში გიდგას ფესვები, ავტორიტეტი გაჭმეს ნასესხები, სიმყაყეშივე ჩაიძირები.

დეკლარაციავ, აგიღებ, კიდევ ჩაკოცნი, ჩაკოცქერი, არჩვადის ხელმოწერით ხარ ასერიგ დასაფასები.

როგორც ხმალი ძმებო ტამერლანისა მე გურამა ისე დამჯახებია, სამივე ძმა საქმესაჯახებია, პირზე ასდით სუნი უკანაღისა.

გალაქტიონურა
ახლაც ჩემს თვალწინ არის რუსთაველზე კარგები, და ბერდიას გაზეთში ცისფრად მინაქარგები!

ხუტაურა
იკაკანეთ ტყვიამფრქვევად სინდის - ნამუს წაშლილო, ამხანაგო დომუხოსესკი, ძმავო პეტრიაშვილო.

შოთაურა
მე ვარ მისანი კაცი - ზვიადი, ჩემი წერა ხარ მამულ-დედულო, მიტომ მჭირდება სრული წყვდიადი, რომ შემსახურო და მიერთგულო...

ვინ ჩაღირობს ამ ბუნკერში, ჭინკები თუ სულელები? ვერ გაიყვებს ხალხისათვის წანაგლეჯი ფულეები.

თემო გვლანძღავდა ზვიადის თხოვნით, უცახცახებდა პატარა მხრები, გარეთ კი, კვლავაც ზვიადის ნებით უკვე მრავალი ბოლავდა კომლი.

ოთარჭელურა
ცისფერ ეკრანიდან გადმოცემა ისეთ სამარცხვინო ღონეზეა, ძალაუნებურად წამოგცდებთა ფუნაგორიული პოეზია.

გურამპეტრულა
ასრულდა ჩემი ჩემი ოცნება, პარლამენტიდან სანაგვეზე რომ მომისროლეს, ნახერხის ნაცვლად თბილი წვიმით ამეცსო თავი.

მურმანულა
ჩვენ რომ სირცხვილი გვჭირს, ხომ თქვენგან, კარვის "დედებო", ვის აღარ ჰკებენით, ვის, ქოფაკო იმამის, წითელღოჯება მხეცებო.

ტარიელურა
უხერხულია შენ გერქვას თემო, შენ უნდა ცისფერ დრუბელთან იწვი...

აგერა ლეღვი მოიჭრა ბარგით, სასომხეთისკენ ბიჭებო მრგვალდით! და ისაღურებს ბუნკერში მქისე გაურკვეველი სუნები კაცის...

გემუდარები სამშობლო ჩემი ამოასუნთქო ნოსტე და გრემი...

იზაურა
რად მოიწყენს ნემო, ბუნკერში რომ ჩადის, იქ მოისვამს ვისმე, აისრულებს წადილს...

ზვიადურა
დე ეღვარებდეს ბუნკერის ჭერზე ჩვენი ილიჩის ნათურა წმინდა, მწყალობდეს, ვინაც მიკურთხა ჩლიქი, სინდისისაგან ვინაც გამწმინდა.

ვაშენეთ ჩვენი ბუნკერი ქვაში, ჰაუბიცისთვის საკმაოდ მყარი, ჩემს გამოვლავზე ისმოდეს ტაში და შეინატროდეს ყველა ახვარი.

ვახტანგურა
ძალა ჰქონია დამრგვალებას ანდამატისა, ბევრი დამრგვალდა, ბევრის გვარი გამიგონია, ბოჭორიშვილი, კაცობა რო შერცხვა მაგისა, თემურ ქორიძე, გუგუშვილი თუ ნემოია. მათ აბაგორეს უზნეობა ისე დიდრონი, რომ კალიგულას ეპოქაც კი მონაგონია, თუცა სიმრგვალე, შეგახსენებთ, არის სინდრომი, რადაც სანეჭვოდ დამიმრგვალდა ფუნაგორია.

იშაშვილი საღმრთოადასწრებელითათვის

„ მომღერ საღმრთო, მიწებს მოარღვევ,
გარდამოღიხარ, ცეცხლო ზვიადო “
მოში იბნ ეზრა

ფილიპინის გაბაძვით დავარქვით ამ წერილს იშაშვილი. მაშ ასე, სმენა იყოს და გავგონება.

გაგანია ომი სტალინისთვის უთქვამთ - ესა და ეს ოპერაცია დიდ მსხვერპლს მოითხოვს. - მიდით ვერე, რა გერიდებთ, ნიკიტას ეგ ხალხი თვლით კი არ ჩაუბარებია ჩვენთვის - ჩაუხიხიხივია უღვაშას.

თქვენი არ ვიცი და ბუნებრივად რადიოდან უზნეო კისკისი რომ მესმოდა - ჩვენ აქ გადასარეცად გვრძობთ თავსო, ამ დროს კი რუსთაველის გამზირი სისხლში ცურავდა და ქაშვილის ყელი მთავრობის სახლიდან ნასროლი ტყვიებით ღამის ბოლომდე იყო გადახერხილი, ისე გამოდის, რომ არც მრგვალებს ჩაუბარებიათ თვლით ადამიანები და ტაძრები.

საქართველოში მთავრის დაბნელებას რომ სწავლობენ მეცნიერები, ისეთი გულმოდგინებით ტვინის დაბნელებაზე რომ ემუშავებენ, არ იქნებოდა ურიგო.

ტვინის დაბნელების ერთი საჩინო მაგალითი უახლესი წარსულიდან მინდა შეგახსენოთ. სოცდემოკრატიზმა ილიას ხმა გაუფრცხვინა - ისეთი სასტიკი მებატონეა, რომ აივნადან გლეხი დაუნახავს, მის წყაროზე წყალს რომ იღებდა და ამისათვის გაუროზგინებიაო. ილიას საპასუხო წერილი მიუტანია რედაქციამ, რომელშიაც განმარტავდა - ჩემი აივნადან არავითარი წყარო არა ჩანსო, მაგრამ სტამბის მუშებს პირი შეუტრავდა და სტატია არ დაუბეჭდავთ.

ახლა ჩვენს დროს დავუბრუნდეთ. ტელევიზიით გადმოსცეს რეპორტაჟი პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგიდან. ბევრ საყურადღებო შენიშვნასთან ერთად იქ რამდენიმე უცნაური მოსაზრებაც გამოიქვეყნა და ნამდვილად დიროს მათზე ყურადღების შეჩერება.

ერთმა ქალბატონმა, მაგალითად, ტელეურნალისტს უსაყვედურა - ჩვენი დეპუტატი მორფინისტია და ხულიგანი, მაგრამ ზვიადის ხათროთ მივეციოთ ხმებიო. ვიფიქრე, ან შეეშალა, ან მომეჩვენა მეთქი, მაგრამ იქვე გააუღისებულმა ახალგაზრდა კაცმა რომ დაუდასტურა, ვიფიქრე - აგაშენათ დემოქრატია, ცბილი თვალის აგზნებით თქო. მეორე კი მაშინ გექნებოდა ახელილი, როცა ამ არჩევნისთვის ტელეურნალისტს კი არა, შეცდომამში შემყვანს მოსახლეობა სუსხს.

მეორე ქალბატონმა ბატონი ვახუშტი მოიხსენია აუგად - ადრე რატომ იყო ჩემად ზვიადს რომ უჭირდაო. ჯერ ერთი ის, მკაცრო ქალბატონო, რომ როცა ზვიადს უჭირდა, სწორედ თვალსაჩინო ქართულმა ინტელიგენციამ გამოიღო თავი და არა თქვენ! ციხიდან მის გამოსაშვებად სწორედ თქვენგან აცადეს ბეჭედი ჯანსუფ ჩარკვიანი იბრძოდა, თქვენი კი არც სახელი მახსოვს და არც გვარი.

როცა მის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობა დაიძაბა, ისევე ამ ხალხმა ითავა შეაში ჩადგომა და „საქართველოს რესპუბლიკას“ სტატუსი აახლა. გაზეთმა ორ თვეს გაუჭიანურა დაბეჭდვა, დაბეჭდილს კი დაახლოებით ასეთი კომენტარი გაუკეთა - ქუჩაში ქურთუკის გულისთვის რომ ხოცავენ ახალგაზრდებს, ეგ თქვენი გაქმნებით ხდებაო! ამის შემდეგ კი ამ წერილზე ხელმომწერებს კარგონისგან ისეთი ტერორი დაუწესდათ, დღეს ცოცხლებს რომ ხედავთ, გიკვირდეთ.

ეგვეც არ იყოს და ვინდაც არ გიყვარდეთ კოტეტიშვილი და შენგულაია, დედ-მამის სახელმწიფოები რად უნდა გადაუწვიათ? ვერც ახალ მთავრობას და-

აბრალე ზვიადის ტრფილს, მაგრამ პირველი დაცვა კოლხურ კომკს დაუყენა. ისიც მაინტერესებს, ყველა მწერალი, რეჟისორი და მუსიკოსი თუ საქვეყნოდ მტრად გამოაცხადე, მარტო პეტროაშვილი-ტალიაშვილის პროდუქციით აპირებ სუღიერ მოთხოვნები და გამოაყოფილებას? ბავშვებმა რადა დაგიშავეს?

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესაგინო არ მოგივიდეთ, მიტინგზე რომ განაცხადა - გალატინი გვეუბნება „სამშობლო უმთავრესიაო“, ლექსი კი „ქრემლის აგენტ“ ჩარკვიანს ეკუთვნის.

დავუბრუნდეთ რეპორტაჟს. ერთი ახალგაზრდა ბრძანებდა - ზვიადს გაჭირვებას ნუ საყვედურობთ, ჩვენთვის სულია მთავარიო. მე ვუპურობდი ამ კაცის არც თუ იაფ ჩამოშლას და მახსენებოდა პურის რიგში უპუროდ დარჩენილი ქალი - ბავშვებს რა ვაჭამოო, რომ მოსთქვამდა. მახსენებოდა ტელევიზიით ნათქვამი - შარშან ზამთარში, ბავშვთა სახლში, სიცივით დაგვედუმა ბავშვებო. მახსენებოდა თვეობით უპენსიოდ დარჩენილი მოხუცებულები... ამავდ დროს, მახსენებოდა ხელისუფლების მიერ თვითმფრინავებისა და აგარაკების კეთილმოწყობასა თუ პრესტიჟულ კორტიეჟებზე განიგებულ ათასები. მახსენებოდა პრეზიდენტის შარშანდელი საახალწლო მილოცვა, რომელიც ერთი ცივად ნათქვამი „გილოცავთ“-ის გარდა მუქარისა და ღანძლის კორიანტელი იყო. ამ ახალ წელს ბუნებრივად გამოგზავნილი მილოცვა უფრო კონკრეტული გახლდათ - გილოცავთ, გისურვებთ მტრების განადგურებასო.

იმ მტრებში, თუ გვინათ მარტო მე ვიგულისხმებ, ძალიან შეგშლიათ, რადგან 37-ში განადგურებულა უმეტესობა ცხარე ტაშის დამკვირველი იყო.

არც ის დაგავიწყდეთ, რომ თვითონ პრეზიდენტიც მტრებში პირველყოფის ყოფილ მეგობრებსა და თანამებრძოლებს გულისხმობს ხოლმე, თორემ დღეს რომ უღვას გვერდით, იმ ხალხის დგაწლებ ეროვნულ მოძრაობაში მე კი არა, თავდაც არაფერი სმენია.

მტრებში იგულისხმება აგრეთვე პრაქტიკულად ყველა, ვისაც შეიძლება მოვლენებზე საკუთარი აზრი გაუჩნდეს. ისტორიამ იცის სამწუხარო მაგალითი ჩინეთის კულტურული რევოლუციისა, რომელიც იმითაც ჰგავს ჩვენსას, რომ სახელმწიფოს მეთაურის ცოლის მიერ იყო წარმოებული, ხოლო კულტურაში პეტროაშვილი ხუნგებიინის ტიპური მაგალითია.

როდესაც მაგანნი 87%-ანი პრეზიდენტის დაბრუნებას ითხოვენ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იგი კომპალიან-ძოქუაშვილიანად უნდა ადღვს?

იმას ხომ მაინც უნდა ხედებოდეთ, რომ გუაუშვილის ტვინით ახალი საქართველო ვერ აშენდება, ან რა აუცილებელია ასეთი სახიფათო ექსპერიმენტი. ქრისტეანობის გარიჟრაჟზე კირკიმელა ათეისტებს ხშირად ებადებოდათ კითხვები - წყალი დგინოდ როგორ გადაიტყვევაო, წყალზე გაველა ვის გაუგიაო, მიცვალებულს რა გააცოცხლებსო და ა.შ.


გაბეზრებულმა თეოლოგმა ტერტულიანემ ყველას პასუხად შეჰყვირა თურმე - მწამს, რამეთუ აბსურდიაო! სწორი ბრძანებაა, თუ ასეთი რწმენა მაცხოვრისკენაა მიმართული, მაშინ შენ მართლმორწმუნე ქრისტიანი ხარ, მაგრამ თუ კაცი იწამე ამდაგვარად, მაშინ რიგითი ქართველი კერპთაყვანისმცემელი. ცხელი გული ყოველთვის ჰქონდა ქართველს, მაგრამ ამას ხანდახან ნათელი გონებაც რომ არ წახმარებოდა, არც ბაგრატიის ტაძარი გვექნებოდა ახლა და არც „გვეხისტყუასანთ“.

ერთში კი მთლიანად ვეთანხმები მომიტინგეებს - როგორც ზვიადის მზამზარეულ ავტორიტეტს ამოფარებულმა ხალხმა გაიკვალა გზა მადლა, ზოგიერთს ნუ ეგონება, რომ იგივე ვარიანტი გამოუვა შეგარდნაქმისთან!

ხელიხელსაგომანები

გველთა შეჭიხრებაზე

კობრა: - ჩემი ერთი ნაკბენი საკმარისია კაცის მოსაკლავად.
გურამი: - მე კი ერთნაირი სიამოვნებითა ვკბენ ცოცხალსაც და მიცვალებულსაც. მიჯობნია თუ არა?



ოპტიმისტური რეჰვივი

ამ ომში ქართველს ქართველისთვის არ უსვრია ტყვია. ორივე ბანაკი წრელი გულით ებრძოდა კრემლის საცეცხლს. ქართველთა ნაწილმა ირწმუნა, რომ გამსახურდია სამშობლოს თავისუფლებას მოუტანს. ეს მიზანი კი იმდენად დიდი იყო, რომ ბევრმა ვეღარ შენიშნა მტრად საეჭვო დეტალები. ქართველთა მეორე ნაწილმა დაინახა, რომ გამსახურდიას ავტორიტეტი საქართველოში ხელფენურად იქნა გაბეჭდილი კრემლის მიერ, რათა მას ხალხის გათიშვით, უაზრო საკადრო პოლიტიკით, ინსპირირებული ენოკონფლიქტებით იმდენად დაესუსტებინა საქართველო, რომ მოდერნიზებული იმპერიის კლანგებში დაბრუნება სახვეწარი ვაგვხდომოდა. საზარელი დანაკლისის გარდა ამ ომმა დიდი იმედოვნ დაგვიტოვა - საქართველოში არ გადაშენებულან ვაჟკაცები, რომლებსთვისაც სამშობლოს თავისუფლება სიცოცხლეზე ძვირფასია. სიცოცხლეს ანგარებით არავინ სწირავს ყველა, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა, სამშობლოს რაინდია. რა ვუყოთ, თუ აწიწილმა ეპოქამ საერთო ორიენტირი დაგვიკარგა და ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოვიჩნდით. ქართველს ქართველისთვის არ უსვრია ტყვია. ორივე ბანაკი იმპერიის საცეცხლს ებრძოდა და გაიმარჯვა კიდევ.

კაკაშვილები, ანუ

თავმოკატუნებული ძმები და არუყვებულნი გულები

ნამეტანი გვიან გახსენებით ძმებს, რომ პრესა და ტელევიზია შეუძლონ მებელ ფაქტებს არ უნდა გადასცემდეს, რათა გალანძვლილი მამის შვილებს გული არ ეტკინოდ. ნამეტანი გვიან აღმოუჩენიათ, რომ ერის რჩეულ შვილთა პირდობლივან ღანძვლას ლექსების წერა ჯობია.

სამიოდე თვის წინ გაზეთმა „თბილისმა“ კაკო ბაქრაძეს ოცდაათ ვერცხლ-ლად გამყიდველი რომ უწოდა, არცერთ პეტრიძეში არ გახსენებია უსამართლოდ გალანძვლილი მამის გულმოკლული შვილები.

თუ კოტეტიშვილის სახლის დაწვავზე დიდი დანაშაული ცრუ ბრალდებაა, მაშინ მენადარიშვილისთვის მედტექნიკის საკითხებში არაკომპეტენტურობის დაბრალდება რა დავარქვამ? და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ „ჩაბეიკას“ დაქალისთვის მინისტრის სკამი გაგეთავისუფლებინათ. ან იქნებ მიიხრა, რომ ძოძუაშვილი მედტექნიკის საკითხებში უფრო კომპეტენტური გეგონა.

ციფრების ენაზე, უარესი ჯანდაცვის მინისტრის მოსვლა ავადმყოფთა სიკვდილიანობის საგრძნობი მატებით გამოიხატება. საკუთარი შვილებით სპეკულირებას ჯობია უწამლოდ დარჩენილ სხვის შვილებზეაც ვიფიქროთ.

გურამი ბრძანებს - ეროვნულ-დემოკრატიები ჩემზე უკეთესი პოლიტიკოსები არიან და პარლამენტში რომ არ შემოვიდნენ, იმიტომ ვლანძვავდიო.

ჯერ ერთი, შენზე უკეთესი პოლიტიკოსები რომ არიან, სწორედ იმიტომ არ შემოვიდნენ. მეორეც, იმიტომ კი არ ღანძვავდი, რომ არ შემოვიდნენ, არამედ იმიტომ - შენზე უკეთესნი რომ არიან, ელდარი ხომ შემოვიდა? ხომ მანც ღანძვავდი? იმიტომ, რომ შენზე უკეთესი რეჟისორია. ღვეან ღვინჯილი-ასაც ხომ იმიტომ ღანძვავდი, შენზე უკეთესი მოქართველი რომა? სამაგიეროდ დამუხრატვის აქტები და ამირან კალაძეს, ანუ მათ, ვინც შენზე უფარგისი და უსაშველოა.

თქვენაირთა ენერჯული კუდის ქიციანთ ამოვარდნილმა ქარიშხალმა ისეთი ტვინის ანთება დამართა იმამს, რომ ვეჭვობ ძოძუაშვილმა უშველოს რამე.



თქვენგან გაქვებულნი კახების მიერ ტერორიზებული ადამიანებისაც, ვეჭვობ, მალე მოუშუშდეთ იარები. იყურეთ მაინცა, კაცო!

შუბლზე ჯვრითა და ყელზე ზანზალაკით
თქვენი ბეკეკა

ვისაც ხელში რა უჭირავს

რომ არ მოგხვდეს შუბლში ბრანწი, ზოგს ყურმილი, ზოგს არშინი, ხოტბით უნდა გაგდგრეს ქანცი, მიკროფონი, დროშა, ყვანჯი, ზოგს კალამი გემარჯვება, ერთგულების დამტკიცება, ზოგს ნაგანი, ანდა ყანწი. საქმე გახლავთ დასატანჯი!

ქსანიფი მონუმენტისათვის „პეტროტარი, ანუ საჭაროველო სინსხვილი“



წუხელ სიზმარი ვნახე ბრიყვული, სასაცილო და გასაკვირველი - ზუგდიდში ტახტი წამოეჭვიმათ და ზედ დაესვათ ზვიად პირველი!



კვარტეტი „ოთხი ხელო“

მე წავალ და ჩემზე კარგი პრემიერი დაგშენდება

ასაა ეს!

„მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, ზოგიერთი პოლიტიკოსი იხტიბარს არ იტებს და დღემდე გაჰკვივის: საპარლამენტო ბრძოლა, ანუ საბჭოურ სტრუქტურებში ჩამყნობა, ყველაზე ეფექტური და უმეტყველესი გზა იყო. პოლიტიკური მიამიტობის საქრესტომათით ნიმუშად უნდა იქნეს მიჩნეული აგრეთვე აკვირებული აზრი იმის შესახებ, რომ რადიკალთა მიერ ჩაშლილი არჩევნების შედეგი იყო მოგვიანებით „მრგვალების“ გამარჯვება და ვითომც „სახალხო ფრონტს“ რომ გაემარჯვნა, უფასო თასიც ჩვენ დაგვრჩებოდა. ერთი პარალელური ვერსიის თანახმად, 9 აპრილის ერთი წლის თავზე დამოუკიდებლობაც უნდა გამოგვეცხადებინა (?!) ყველას გვახსოვს, რომ ჯერ კიდევ ჩაშლილ არჩევნებამდე, ადგილობრივ სტრუქტურებში სახალხო ფრონტელთა დანერგვის მცდელობას ამ ორგანიზაციის რეიტინგის მკვეთრი დაცემა მოჰყვა, რაც მიტმასნილი ელემენტების არაჯანსაღი აქტიურობის შედეგი იყო. ეს ბუნებრივია. ფრონტის ხელმძღვანელობას ასეთი დიდი და ჭრელი ფორმირების მართვის გამოცდილება არ გააჩნდა და აღლაპმა-და უწყობდა, თუ რა ხდებოდა ძირეულ რგოლებში. ოქტომბრის არჩევნებისთვის ამ ელემენტთა უმეტესობა მომრგვალებული აღმოჩნდა და ახალი პლატფორმიდან მიიტანა იერიში სტრუქტურებში შესაღწევად. საქმე იმაში გახლავთ, რომ ერთგულმა მოძრაობამ, გააძევა რა ასპა-

ნორჩი პოლიტოლოგი